

საერთო გაფატი

№2 (413) • 25 იანვარი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1 ლარი

დონალდ ტრამპი:

„ომს ვანარმოებ მედიასთან. ისინი დედადინის ზურგზე ყველაზე უსინდისო არსებები არიან“



„შეენინა აღმდეგეთ უმაღლეს მთავარ მომთათუნებელს“

მელორ სტურუას ფერილი დონალდ ტრამპის ინაუგურაციის შესახებ

ვის კომერსიულ ინტერესებს იცავენ „პატრიოტი“ „კროტესტანტები“?



დემურ გომრხელიძე:

„გაზპრომთან“ ხელშეკრულება საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით დაიღო და ამ ხელშეკრულებით საქართველოს არანაირი საფრთხე არ ემუქრება



ცოლია თუ რაგბის ბურთი?!

„ჩვენს დროშას სწევნ! ჩვენს ჰიმნს მღერიან! ჩვენს დანატოვარ ბიუჯეტს ჭამენ!“

უცნობი ლავრენტი ბერია



დიდი კრიახი „ნაცმოძრაობაში“ საქართვევი შეიპარა მელია...

შოთა აფხაიძე:

საკაშვილმა გიულენის თხოვნით ტერორისტული ორგანიზაცია „რუხი მგლები“ 3000-მდე წევრს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა



ვახტანგ ხარჩილავა:

გზა საქართველოსკენ

„ჩვენს დროშას სწავნი! ჩვენს ჰიმნს მღერინა! ჩვენს დანატოვარ ბიუჯეტს ჭამენ!“ – გრიგოლ ვაშაძე



— ჩვენს დროშას სწავნი! ჩვენს ჰიმნს მღერინა! ჩვენს დანატოვარ ბიუჯეტს ჭამენ! — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ „ნაცმოძრაობის“ ყრილობაზე „ქართული ოცნების“ მისამართით.

მათ მიერ დატოვებული ბიუჯეტის ჭამისა რა მოგახსენოთ (რა დატოვებს, რომ ვინმეს შეეჭამა?!), მაგრამ სხვა დანარჩენში მართალია ბატონი ვაშაძე — „ქართული ოცნება“ „ნაციონალების“ მიერ სახელმწიფო დროშად გამოცხადებულ მათ პარტიულ დროშას აფრიალებს და დღემდე მათ ჰიმნს მღერის.

ძნელი გასათვლელი არ იყო, რომ „ნაცმოძრაობა“, ადრე თუ გვიან, აუცილებლად წამოაყვედრებდა „ქართულ ოცნებას“ და მთელ საქართველოს — ჩვენ შეგიქმენით სახელმწიფო, თანაც ისეთი სახელმწიფო, სადაც ვერაფერს ვერ ცვლით — ვერც დროშას, ვერც ჰიმნს, ვერც სტრუქტურებს...

სწორედ ამ თემას ეძღვნებოდა ჩემი წერილი „გზა საქართველოსკენ“, რომელიც ვაშაძის „ისტორიულ“ რეპლიკამდე ორი თვით ადრე გამოქვეყნდა და, სადაც, ჩემი აზრით, არგუმენტირებულად იყო დასაბუთებული, რომ სახელმწიფო დროშაც, ჰიმნიც და „ნაციონალების“ დანატოვარი სხვა „სიკეთეებიც“ აუცილებლად შესაცვლელია.

ვსარგებლობ შემთხვევით და მიემართავ „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობას: 2012 წლის ისტორიული მონაპოვარი, გამარჯვება „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტურ რეჟიმზე, რომელიც თვისობრივად, შინაარსობრივად, იდეურად ახალი ყაიდის ქართული სახელმწიფოს მშენებლობას დაედო საფუძვლად, არ შეიძლება „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიან პერიოდს გადავხედოთ და ასე ვეცადოთ წინსვლას მომავლისკენ.


ახლა კი გთავაზობთ ფრაგმენტებს წერილიდან „გზა საქართველოსკენ“.

* * *

2012 წლის 1 ოქტომბრის სა-

პარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ ბრძოლას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი შინაური დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ომს ჰყავდა თავისი გმირი, თავისი მთავარსარდალი **ბიძინა ივანიშვილი** სახით, რომელმაც სიმამაცის, თავგანწირვის, შეუპოვრობის წყალობით თითქმის შეუძლებელი შეძლო და „ნაცმოძრაობა“ დაამარცხა.

ამ გამარჯვებით სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს ცხოვრებაში.



დაიწყო თვისობრივად, შინაარსობრივად სრულიად ახალი ტიპის ქართული სახელმწიფოს მშენებლობა, რასაც უნდა მოჰყოლოდა მკვეთრი და ხისტი გამიჯნვა წინა ხელისუფლების მიერ დატოვებული მექვიდრეუბისგან.

საუხეხითი თბიქტური მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერც მაშინ და ვერც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა, შედეგად კი მივიღეთ ის, რომ დღემდე „ნაცმოძრაობის“ პარტიული დროშა დაგვეფრიალებს თავს, რომელიც თავის დროზე მოძალადე „ნაცმოძრაობის“ მიერ სახელმწიფო დროშად იქნა გამოცხადებული.

ამას დაუშვალთ ასევე „ნაცმოძრაობის“ დროს, მისი კარნახით და მისი რედაქციით შექმნილი სახელმწიფო ჰიმნი და სახელმწიფო გერბი.

ყოველივე ეს ერთად აღებული კი ქმნის ილუზიას, რომ „ნაცმოძრაობა“ არ დამთავრებულა, ის კვლავ რჩება იდეოლოგიურ წინამძღოლად, ახალი საქართველოს ავტორად და შემოქმედად, ხოლო „ქართული ოცნება“, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ სახელმწიფო დროშად ნაკურთხი პარტიული დროშის ქვეშ აგრძელებს მოღვა-

სხვა გამოსავალი არ არის – ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელიც საქართველოსკენ მიდის. ამის გაკეთება კი სააკაშვილის დროშით, სააკაშვილის ჰიმნით, სააკაშვილის გერბით, სააკაშვილის კონსტიტუციით შეუძლებელია.

წეობას, თითქოს „ნაცმოძრაობის“ გაგრძელება და მისი ზედნაშენია, რაც, ცხადია, აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ სიტუაცია მაინც ასეთია – სახელმწიფო დროშა ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის გამარჯვების პარალელურად რომ

ერთიანების, შემაკავშირებლის, საერთო იდეის და საერთო ღირებულებების, სიმბოლოს ფუნქცია.

საქართველოში, ანუ ქვეყანაში, სადაც ქრისტიან ქართველებთან ერთად ცხოვრობენ მაჰმადიანი ქართველებიც, ცხოვრობენ მაჰმადიანი რელიგიის სხვა ეთნიკური ჯგუფებიც (სხვათა შორის, საკმაოდ მრავალრიცხოვანი), რამდენად შეიძლება გამაერთიანებლის და შემაკავშირებლის როლი შეასრულოს ხუთჯვრიანმა დროშამ, რომელიც მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის ადამიანებისთვის შეიძლება იყოს მისაღები?

ასეთმა დროშამ შემაკავშირებლის და გამაერთიანებლის ფუნქცია კი არა, უფრო მოსახლეობის გახლეჩვის, დაპირისპირების და

ომების უსიამოვნო ასოციაციებს აღპრავს.

ერთი სიტყვით, ცხადზე ცხადია, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშა აუცილებლად უნდა შეიცვალოს, ხოლო რომელი და რანაირი დროშით უნდა შეიცვალოს იგი, ეს საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, რომ კვლავ იმ სიტუაციაში არ აღმოვჩნდეთ, რომელშიც დღეს ვიმყოფებით.

საქართველოს სახელმწიფო დროშა, მასთან ერთად საქართველოს ჰიმნი, საქართველოს გერბი რომ შენაცვლელია, ეს არ არის მხოლოდ ამ წერილის ავტორის აზირება, ეს არის საქართველოს მო-



განცალკევების ფუნქცია შეიძლება შეასრულოს.

ასეა თუ ისეა, ამ დროშის საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოცხადებაში არის რაღაც საზგანსულად პროვოკაციული და საზგანსულად გამოფხვავი ელემენტები, თუნდაც ჩვენი მიზნობრივი სახელმწიფოების მიმართ, რომელთა უმრავლესობაში ეს დროშა სწორედ მათი წინააღმდეგ მიმართული ჯვაროსნული

სახლმომხი კალიან დიდი ნაწილის სურვილი, რომელიც ჯერჯერობით შუშ-მინელი დარჩა...

სხვა გამოსავალი არ არის – ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელიც საქართველოსკენ მიდის. ამის გაკეთება კი სააკაშვილის დროშით, სააკაშვილის ჰიმნით, სააკაშვილის გერბით, სააკაშვილის კონსტიტუციით შეუძლებელია.

„საერთო გაზეთი“
N46 7.XII. 2106 წ.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალექსანდრის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (სტ.) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი ჰრესის ჰრინციხით. შესაძლოა, ავტორის ჰოზიციან არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეა პასუხისმგებელი ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი აჭირის ვალში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იმაქმევა შპს „საგამომცემლო ცენტრი“ თბილისი, ალექსანდრის 164
© 2017 წელი უფლებების საკავალმო მასალები.

ვის კოზირსი უნდა იტყვას ისაჰან „პაპრიოზი“ „პროფესიონალი“?

„გაზპრომთან“ ხელშეკრულების გაფორმებას, რომლის თანახმადაც ხსენებული კომპანია სომხეთში გატარებული ბუნებრივი აირის ტრანზიტის საფასურს თანხით ავინაზღაურებს, ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილში დიდი აჟიოტაჟი მოყვა. „ახლად-გამომცხვარმა“ ნაციონალმა, საზოგადოებაში „ალ კუპონეს“ თიკუნით ცნობილმა რომან გოცირიძემ მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა, თუ უკვე ხელმოწერილია, მაშინ მის გაუქმებაზე დაიწყო მუშაობა, რადგან ეს ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებაა საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის წინაშე ფაქტობრივად კაპიტულირება მოახდინაო. „მთავარ“ ოპოზიციურ ძალას გათვლებიც გაუკეთებია, წელიწადში 20 მილიონ დოლარს ვეკრავთ, მთავრობის განცხადებებიდანაც ჩანს, რომ იმ ფულით, რასაც ტრანზიტში გადაგვიხდის, იმის ნახევარ გაზსაც ვერ ვიყიდით, რასაც ბოლო 15 წლის განმავლობაში „ნატურით“ ვიტოვებდით. იმ ხარჯების გათვა-

რება, ამით მიზანი ქვეყნისთვის ძირგამომხრელი საქმიანობაა, ძალიან უნდათ ეს მილსადენი უფუნქციოდ დარჩეს, რომ მერე დაჭრან და ჯართად გაყიდონ უცხოეთშიო. ამ პოზიციის საწინააღმდეგო „რეინისებური“ არგუმენტი აქვს მიხეილ მაჭავარიანს, ირანსა და რუსეთს შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, აქამდეც სხვა გზით მიაწვდიდნენ ბუნებრივ აირს სომხეთსო. ასეთი „კოზირი“ გვექონია, მაგრამ ბატონ კალაძეს რატომღაც არ გამოუყენებია, რასთან დაკავშირებითაც სახელგამოცვლილ ნაციონალებს ეჭვი აქვთ, რომ ეს არის პოლიტიკური კაპიტულირაციის, ან არაკომპეტენტურობის, ან ვიღაცების პირადი დანტერესების შედეგი.

საზოგადოების ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილში, აქტიურად მუშაობს აზრი, რომ „გაზპრომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს აშკარად დაჰკრავს პროვოკაციის ელფერი, რუსეთი სურვილის შემთხვევაში ბუნებრივ აირს მაინც გაატარებს სომხეთისკენ ისე, რომ შეიძლება ტრანზიტის საფასური საერთოდ

გაზის მოცულობის შესყიდვა. იმ პერიოდში „საერთო გაზეთში“ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სტატიები დაიბეჭდა, სადაც კომპეტენტურ წყაროებზე დაყრდნობით ესაუბრობდით. ვწერდით, რომ რუსული ბუნებრივი აირის იმპორტთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი ძალიან დიდ ეჭვებს ბადებდა, განსაკუთრებით იმ ფაქტის გამო, რომ ამ თემაზე ნაციონალები, მათი სატელიტი პოლიტპარტიები, „ენჯომნიკები“ და მხარდამჭერები აქტიურობდნენ. აზერბაიჯანულ „სოკარს“ სწორედ ნაციონალების მმართველობისას მიენიჭა მონოპოლისტის ფუნქცია, რაც ცხადია, უანგაროდ არ მოხდებოდა. ის ე.წ. ოპოზიციონერები, რომლებიც თავის დროზე ყველაზე მეტს გაჰყვიროდნენ, „სოკარ-ჯორჯია“ სააკაშვილის ოჯახის კუთვნილებას, მათ გარკვეული წილები აქვთ ამ კომპანიაში, არ შეიძლება ვინმეს მონოპოლისტის უფლება ჰქონდესო, საეჭვოდ იყვნენ გასუსულები და რიგ შემთხვევაში თავიანთი აღრინდელ პოზიციას ეწინააღმდეგებოდნენ. დღეს ეს ოპოზიციონერები ავანგარდში დგანან და



გვთავაზობდა (ეს ყველაზე ცუდ ვარიანტში), ანუ იმ ფასად, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და უკრაინას აწვდიდა. ჩვენ აზერბაიჯანისგან გაზს გაცილებით ძვირად, 300 დოლარის ფარგლებში ვყიდულობთ, თუ რუსული გაზის შესყიდვის სურვილი გვექნება, რუსეთი ფასს კიდევ უფრო დაგვიკლებს. აზერბაიჯანის გაზის ჭაბურღილებიდან

ლეობის ინტერესი უნდა იქნას გათვალისწინებული. თემურ ჭიჭინაძის განცხადებით, მიზეზი ის იყო, რომ არ უნდოდათ, თუმცა ჩვენ არც ის ვიცით რეალურად რა ფასში გვადლევს აზერბაიჯანი გაზს, რადგან საქართველოსა და აზერბაიჯანულ მხარეს შორის სამი ე.წ. შუამავალი ოფორული კომპანია დგას, ნაციონალების მმართველობისას რა სქემებიც მუშაობდა, იგივე დარჩა, არაფერი შეცვლილა, როგორც არ შეუცვლიათ ნაციონალების დროინდელი კადრებიო. თუ კომპეტენტურ წყაროებს დავუჯერებთ, აზერბაიჯანული გაზი საკმაოდ დაბალკალორიულია, ისინიც რუსეთისგან ყიდულობენ გაზს, ერთმანეთში ურევენ და ისე ყიდის ჩვენზე, თანაც, როგორც აღვნიშნეთ, მთლიანად ვერც აკმაყოფილებენ ქართულ ბაზარს. ამ ყველაფრის შემდეგ რა შეიძლება ვუწოდოთ ნაციონალებისა და მათი სატელიტების საქციელს, რომლებიც თურმე სახელმწიფო ინტერესების დაცვაზე „ზრუნავენ“? დიმილის მომგვრელია ამ პერსონების მხრიდან წიოკობა, მოქმედი მთავრობა გარიგებებს ასაიღუმლოებსო, როცა გასაიდუმლოების „დიღოსტატები“ თავად ბრძანდებოდნენ. საქართველოს საზიანო რამდენ გარიგებაში აქვთ მონაწილეობა მიღებული, ვინ მოთვლის.

მანანა სუნიოვილი
599 51 28 24



ლისწინებით, რასაც საქართველო ამ გაზის მილსადენის საქსპლუტაციო მომსახურებისთვის ეწევა, გამოდის რუსეთისა და სომხეთისთვის ვმუშაობთო.

ამ დემაგოგიას პასუხი კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა გასცენ, მაგრამ მათთვის მედიასიც ვიშვებთ იშვიათი გამონაკლისების გარდა, ფაქტობრივად დაზუსტდა, ქართული მედიასა-შუალედების უმეტესობისთვის, როგორც წესი მხოლოდ ნაციონალების, მათთან დაახლოებული „ყოვლისმცოდნე“ ექსპერტებისა და „ელიტურ“ არასამთავრობოთა მოსაზრებაა მნიშვნელოვანი. მართალია, ამ უკანასკნელთა კომპეტენტურობაში ეჭვი გვეპარება, მაგრამ მაინც საინტერესტო იყო პროტესტს როგორ დაასაბუთებდნენ, როგორც ყოველთვის, არგუმენტირებული პასუხი ვერც ახლა მოვიხმინეთ. „პროტესტანტებს“ საზოგადოება სოციალურ ქსელში ასე ეხმაუ-

არ გადაგვიხდის და საინტერესოა, როგორ შეეწინააღმდეგებიან ამას ეს ე.წ. პროტესტანტებიო. რესპოდენტთა აზრით, „პროტესტანტები“ ფაქტობრივად რუსეთის თამაშს თამაშობენ. ეტყობა გაზსადენის რუსეთისთვის მუქთად გადაცემას გვემავენ, ეს მათი სტილია, თორემ რა გმირებიც არიან, 2008 წელს ვნახეთ, „წითელ ხილზე“ ერთმანეთს რომ ასწრებდნენო.

ყველაზე კურორული ისაა, რომ დღეს ის ხალხი „ბობოქრობს“, რას ჰქვია ტრანზიტის საფასურში რუსულ გაზს არ გვიტოვებენო, რომელმაც შარშანწინ ლამის ომი გამოუცხადა ამ ჩრდილოურ ენერგომატარებელს, გეხსოვებათ, იუსტიციის სახლის წინ მდებარე საფეხმავლო ხილზე სარეცხივით რომ იყვნენ გადმოკიდებული საპროტესტო პლაკატებიანად, სამშობლოს ღალატის ტოლფასად შეაფასეს რუსეთისგან დამატებითი

მგონი, ნაციონალებსაც აჯობეს აქტიურობაში.

საკითხავია აზერბაიჯანისგან თუ 1000 კუბ.მეტრ ბუნებრივ აირს 240 დოლარად ვყიდულობთ, რუსეთისგან ამავე მოცულობის გაზის შეძენა 200 დოლარად შეგვიძლია. ბუნებრივია, წარმოების განვითარებასა და მოგებაზე ორიენტირებული ადამიანი იაფსა და ხარისხიანზე გააკეთებს არჩევანს, მაგრამ ნურას უკაცრავად, რუსეთი ოკუპანტი და არასაიმედო პარტნიორიაო, გეგონება ამ მეწარმეზე მეტად სწუხდნენ ეს არამკითხე მემამულები მის მოგებას. ყველა სტრატეგიული ობიექტი, რომ სწორედ ნაციონალებმა მიჰყიდეს რუსებს, ეს ვითომ არაფერი.

დარგის სპეციალისტი, ენერგეტიკის აკადემიის წევრი თემურ ჭიჭინაძე ჩვენთან ინტერვიუში აცხადებდა, რომ იმ პერიოდში რუსული მხარე 1000 კუბ.მეტრ ბუნებრივ აირს 275 დოლარად



დიდი კრიზისი „ნაცმოძრაობაში“, ანუ საქართვევი შვიპარა მელია...

გიგა ბოკერია და გიგი უგუ-
ლავა დიდი ხანია ცდილობდ-
ნენ, „ნაცმოძრაობა“ სააკაშვი-
ლის ხუმტურებზე მოთამაშე
გაერთიანებად „წარმოეჩინათ“
და „ევროპული საქართველო“
განწმენდილ და ე. წ. სიბინძუ-
რისგან თავისუფალ ჯგუფად
წარედგინათ საზოგადოებისთ-
ვის.

თუმცა, როგორც ამბობენ,
მიშამ ყოველივე ამის შესახებ
წინასწარ იცოდა, რის გამოც
ტაქტიკური სვლა განახორცი-
ელა და პარტიის ლიდერად,
როგორც შედარებით სუფთა
წარსულის მქონე ადამიანის,
ნიკოლოზ მელიას კანდიდატუ-
რა წამოაყენა.

მნიშვნელოვანია, რომ პა-
ტიმრობაში მყოფმა ყოფილ-
მა შს მინისტრმა ვანო მერა-
ბიშვილმა უგულავა-ბოკერიას
პოზიცია დაიკავა, რამაც, შე-
იძლება ითქვას, სააკაშვილის
წისქვილზე დაასხა წყალი, ანუ
დამნაშავეები, რომლებსაც გა-
მოკვეთილი სახის დანაშაულე-
ბები ჰქონდათ ჩადენილი —
დარბევები, უკანონო დაჭერები,
არჩევნების გაყალბები და ა. შ.
„ჩამოშორდნენ“ „ნაცმოძრაო-
ბას“.

„ნაცმოძრაობის“ მომხრეები
ამბობენ, რომ პარტიის ყრი-
ლობა ჯერ კიდევ არჩევნებამ-
დე უნდა ჩატარებულიყო. მაგ-
რამ ოპონენტების მოსაზრებით,
„ნაცმოძრაობას“ მაშინ გამოკ-
ვეთილი ლიდერი არ ჰყავდა.
ახლა ლიდერად ნიკა მელია
ჩამოყალიბდა.

არსებობს მოსაზრებე-
ბი და რეალური ფაქტებიც,
რომ „ნაცმოძრაობა“ არასდ-
როს ყოფილა მონოლითური.
პარტიის დაშლა-დაქუცმაცება
და საბოლოო გაწირვა, ხალ-
ხის ფაქტორის გარდა, შიგნით
არსებულმა დაპირისპირებებმა
და განხეთქილებებმაც განაპი-
რობეს.

ამ ფაქტების შესახებ ანა-
ლიზს Caucasian&Asian Citi-
zen-ის ექსპერტი პოლიტიკურ
საკითხებში ბია კუჭაშვა
გვთავაზობს:

— 2001 წლის შემოდგომა-
ზე, თბილისის რამდენიმე დღით
ელექტროენერჯის მიწოდება

შეუწყდა. ამბობდნენ, ელექ-
ტროგადამცემ „ქართლი-2“-
ზე აფეთქება მოხდაო. მაშინ
საკაშვილი მოსკოვში იმყო-
ფებოდა და იქიდან მოუწოდა
ქართველ ხალხს — აქციები
არ შეწყვიტოთო. ეს მოწო-
დება პირდაპირ მიანიშნებდა
იმას, რომ ის ემიჯნებოდა **წმ-
რაბ შპანიას** და „რეფორ-
მატორთა“ გუნდს. მერე უკვე
„ვარდების რევოლუციის“ წინა
პერიოდში, საარჩევნოდ, სა-
აკაშვილი და რესპუბლიკელები
დაჯგუფდნენ, ხოლო ჟვანიას
გუნდი **ასატიანი-ბურჯა-
ნაძის** შეეკრა.

მახსოვს, 2005 წელს, ჟვა-
ნიას გარდაცვალების შემ-
დეგ **ელენე თიქვლორაძემ**
თქვა: ნაცმოძრაობა არ არის
დამოუკიდებელი წარმონაქმნი



— აქ არის ბურჯანაძის გუნ-
დი, ჟვანიას გუნდი და თავად
საკაშვილის გუნდი და დადგა
დრო, რომ ერთმანეთს გავე-
მიჯნოთო.

მაშინ ამ განცხადებებს
მკაცრი შეფასებები მოჰყვა.
გუნდს პირველად **ნიკო
ბურჯანაძემ** გამოეყო.

რაც შეეხება ჟვანიას. მან
მშვენივრად იცოდა, სააკაშვი-
ლისნაირი ქარიზმა რომ არ
ჰქონდა და კულუარებში ამ-
ჯობინებდა ლიდერობას. შე-
საძლოა, მას ჩაფიქრებულიც
კი ჰქონდა სააკაშვილის მო-
ცილება. სააკაშვილი, ამას,
ეტყობა, მშვენივრად ხვდებოდა,
მით უფრო, რომ ჟვანია თანდა-
თან უცხოეთშიც იმტკიცებდა
პოზიციებს. იგი გარდაცვალებ-
ამდე რამდენიმე დღით ად-
რე აშშ-შიც იმყოფებოდა და
დემოკრატიული ინსტიტუტის
ჯილდოც კი მიიღო. მოკლედ,
ჩემი აზრით, სააკაშვილმა მო-
იშორა ჟვანია, სანამ თვითონ
ჟვანია დაასწრებდა ამის გაკე-
თებას.

— ანუ სააკაშვილი იმა-
ვითვე ითავისუფლებდა პოლი-
ტიკურ მინდორს და ახლა უკვე
უპირობო ლიდერად ჩამოყა-
ლიბდა?



— მოდი, ასე ვთქვათ, ცალ-
კე სააკაშვილს მხარს არავენ
დაუჭერს.

**გიგა ბოკერია, რამ-
დენადაც მიუღებელი
არ უნდა იყოს ვინმესთ-
ვის, გაცილებით უფრო
გონიერი და საშიშია,
ვიღრე თვით სააკაშვი-
ლი და მისი გუნდი.** ესე-
ნი აპირებენ, შემდგომში ყვე-
ლაფერი სააკაშვილს და მის
გუნდს დააბრალონ, რათა თვი-
თონ მშრალად გამოვიდნენ, თუ
ამას საზოგადოება დაიჯერებს,
დიდ შეცდომას დაუშვებს. სა-
აკაშვილთან ერთად, ბოკერიას
და მის ახლანდელ გარემოცვა-
საც დიდი წვლილი მიუძღვის
იმში, რაც ხდებოდა მთელი 9
წლის განმავლობაში საქარ-
თველოში.

საკაშვილს არ სურს, ხე-
ლიდან გაუშვას პარტიის სა-
დავეები.

ეს კაცი ძალაუფლების
წყურვილით პარანოიდულად
არის შეპყრობილი. მან მშვე-
ნივრად იცის, ხელისუფლების
გარეშე არარაობაა. მას დღემდე
მიანია, რომ უამრავი მომხრე
ჰყავს საქართველოში, თუნდაც
იმის გამო, რომ ის, მაგანთა აზ-
რით, რუსეთს ებრძვის.

— არაერთხელ გამოთქმუ-
ლა ეჭვი და მოსაზრება, რომ
საკაშვილი თავის „ნაცმოძრა-
ობიანად“, შესაძლოა, რუსეთის
ფსბ-ს პროექტი ყოფილიყო.

— სააკაშვილის ბნელი თა-
მაშების შესახებ მის გუნდში,
შეიძლება, ერთი-ორმა ადამი-
ანმა იცოდეს, დანარჩენს ბრმად
სჯერა, რომ მიშა დასავლური
ორიენტაციის პოლიტიკოსია.

არაერთხელ მითქვამს და
მტკიცებულებებიც მომიყვა-
ნია, რომ სააკაშვილი რუსეთის
სპეცსამსახურების პროდუქტი
იყო და არის“.

მიუხედავად იმისა, რომ
ამის არც თვით სააკაშვილის

ლი წევრებით ჩაანაცვლონ?
— ამ კითხვაზე პოლიტიკური
ექსპერტი, კონსტიტუციონა-
ლისტი **მანტანო კაბორაძე**
გვპასუხობს:

— ეს გამორიცხულია. არც
პარტიას და არც ამომრჩეველს
პარლამენტიდან დეპუტატის
გამოწვევის უფლება არ გა-
აჩნია. თუ დეპუტატი რაიმე
კანონსაწინააღმდეგოს ჩაიდენს,
თვითონვე უნდა მოითხოვოს
მანდატის დატოვება.

იყო შემთხვევები, როცა
კანონმდებლობის მიხედვით,
პარლამენტარს ბიზნესსაქმი-
ანობის უფლება არ ეძლეოდა
დაპუტატობის გამო და შეუ-



თანაგუნდელებს სჯერათ, მათ
შორის პოლიტიკური ორიენ-
ტაციის საკითხზე წინააღმდე-
გობა ჯერჯერობით არ შექმნი-
ლა. რადიკალური უთანხმოების
მიზეზი მაინც სააკაშვილისადმი
ბრმა მორჩილება გახდა, რის
გამოც საინტერესოა ფრაქციის
მომავალიც.

— მოსლოდნელია თუ არა,
„ნაცმოძრაობაში“ დარჩენილმა
წევრებმა ცსკო-ს მიმართონ,
პარლამენტიდან გამოითხო-
ვონ „ევროპული საქართვე-
ლოს“ წევრები და ფრაქცია
„ნაცმოძრაობის“ დღევანდე-

ჩერეს უფლებამოსილება. სხვა
სამართლებრივი მეთოდი, რომ-
ლითაც შეიძლება, დეპუტატი
პარლამენტიდან გამოიწვიო, არ
არსებობს“.

ასეთია საქმის ვითარება —
„ნაცმოძრაობის“ დიდი კრიზისი
(ყრილობის) შემდეგ ჯერჯერო-
ბით გაურკვეველია, რას იზამს
„საქათმეში“ „შეპარული“ მე-
ლია, სახელად ნიკანორი და
რა ბედი ელის განსაცდელში
ჩავარდნილ „ნაცმოძრაობას“...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ლარიზაციის შუქ-ჩრდილები

რატომ ეხმარება მთავრობა 20%-იანი სუფსიდიით იმ ადამიანებს, რომელთა თვიური შემოსავალი 8000, 7000, 6000 და ა.შ. ლარი იყო?



ექსპერტთა გათვლებით, საქართველოს მოქალაქეების 50-60% კომერციული ბანკის, კერძო მეგობრის ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალი აქვს. „ბანკზე დამოკიდებული“ მოქალაქეებისთვის უკვე ცნობილია, რომ 17 იანვარს დაიწყო და ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება დოლარში აღებული სესხების გალარების პროცესი. თუმცა, სანამ მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული გეგმის ავტორიზაციას განვიხილავდეთ, სამომხმარებლო ბაზარზე ლარის რყევასთან გამოწვეული შედეგებზე მოგახსენებთ.

რაც კვების პროდუქტებზე ფასების მკვეთრი მატებით შეიძლება აიხსნას. ექსპერტების ვარაუდი, რომ ლარის გაუფასურება და თამბაქოს, ნავთობპროდუქტებისა და ავტომობილების აქციზზე ფასის ზრდა პროდუქტებზე ფასის ზრდას გამოიწვევდა, გამართლდა. სკანდალური განცხადებებით ცნობილი საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თქმით, სიგარეტის გაძვირებაში ცუდი არაფერია და თუ ვიღაც გაზრდილი ფასის გამო, სიგარეტის ყიდვას ვეღარ შეძლებს, მისივე ჯანმრთელობას წაადგება. სამწუხაროდ, ჯანმრთელი

იღებს შეღავათიანი კურსით სესხების გალარების ხარჯების სუბსიდირებას, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს მიაწვდის გალარებისთვის საჭირო აშშ დოლარს და მოახდენს ლარის ლიკვიდობით მხარდაჭერას. კომერციული ბანკები კი ვალდებული არიან პროგრამის შესახებ აცნობონ ყველას, ვისაც შეიძლება ეხებოდეს სუბსიდიამ.



დეპუტატ-პრემიერი ლევან ხაჩატრიანი

საქსტატის ინფორმაციით, საქართველოში ინფლაციის დონემ 2016 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით, 1,0%, ხოლო წინა წლის დეკემბერთან შედარებით, 1,8% შეადგინა. იმავე ინფორმაციის თანახმად, 2010 წელთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი 19,0%-ით გაიზარდა. ფასების ზრდა ყველაზე მეტად სამომხმარებლო კალათის შემდეგ ჯგუფებს შეეხო: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - 1,5%, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები - 9,2%, რძის, ყველისა და კვერცხის (2,9%), ხორცისა და ხორცპროდუქტების - 2,0%. ფასების 13,1%-იანი ზრდა დაფიქსირდა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფზე. ფასები მკვეთრად გაიზარდა თამბაქოს ნაწარმის ქვეჯგუფზე (23,2%) და ალკოჰოლური სასმელების ქვეჯგუფებზე (4,6%). ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შაქარზე, შოკოლადსა და საკონდიტრო ნაწარმზე (16,3%)

ფასების მატება შეინიშნება სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (8,5%) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3,0%).

ერთადერთი, რაზეც ფასების კლება დაფიქსირდა, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჯგუფია (5,7%),

ცხოვრების წესის მიმდევარ პარლამენტარს იმაზე არაფერი უთქვამს, რომ თუ ის ვიღაც ბაზარში მოვაჭრეა, გაძვირებული სიგარეტის შესაძენად, პროდუქტზე ფასის გაზრდის, ტაქსის მძღოლი და ხელოსანი კი მომსახურებას გააძვირებს, რაც მივიღეთ კიდევ.

რაც შეეხება მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ ერთობლივად შემუშავებული ე.წ. ლარიზაციის გეგმას, ის მიზანდასახულია მოსახლეობისა და საფინანსო სექტორის დამოკიდებულების შეცვლას დოლარზე, ლარის კურსზე ზეწოლისა და მოქალაქეების ფინანსური რისკების შემცირებას.

„მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად შეიმუშავა ე.წ. ლარიზაციის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, როგორც ერთჯერადი სოციალური აქცია, 2015 წლის პირველ იანვრამდე, ფიზიკურ პირებზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარში გადატანა არსებული კურსის მიხედვით 20 პუნქტის ოდენობით მოხდება“ - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვიციანიშვილის განმარტებით, თუ კურსი 2.5 იქნება, აშშ დოლარში არსებული სესხის კონვერტაცია 2.30-იანი ნიშნულით მოხდება.

მთავრობა საკუთარ თავზე

სუბსიდიამ არ შეეხება მოქალაქეებს, რომელთა წლიური შემოსავალი 2015 წელს 100,000 ლარზე მეტი იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ 100,000 ლარის ოდენობის წლიური შემოსავალი ყოველთვის 8.333 ლარს ნიშნავს, ირკვევა, რომ ქვეყანაში, სადაც ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეექვსე ბავშვი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს, სახელმწიფო იმ ადამიანებს ეხმარება, რომელთა ყოველთვიური ხელფასი 5000, 7000 და 8000 ლარს შეადგენს.

საბანკო სექტორში დასაქმებული ინკონიტი რესპოდენტის თქმით, მთავრობის ინიციატივა მხოლოდ კომერციული ბანკების გაძლიერებისთვის შეიქმნა და კომერციული ბანკების ბენეფიციარების მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში კომერციულ ბანკებს სესხებზე საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვთ დაწესებული. ამას ლარის კურსის დევალვაცია დამატება და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. საფინანსო სექტორი ნაკლებად

ითვალისწინებს მოსახლეობის შესაძლებლობებს და მხოლოდ მოგების მიღებაზეა ორიენტირებული. მთავრობისა და ეროვნული ბანკის ბოლოდროინდელი ინიციატივაც სხვა არაფერია, თუ არა მოსახლეობის კიდევ მეტად გაღატაკება და კომერციული ბანკებისთვის შემოსავლების გაორმაგება.

— აგვისტოში, ე.წ. ლარიზაციის გეგმამ მოსახლეობის გაღატაკება როგორ უნდა გამოიწვიოს?

— დაუშვავთ, ბანკში აიღეთ 1000 დოლარიანი სესხი ოთხი წლით. გადახდის გრაფიკი ისე დგება, რომ თავიდან მხოლოდ იმ პროცენტებს იხდით, რაც ბანკმა 4 წლის განმავლობაში უნდა მიიღოს.

— რატომ?

— იმ შემთხვევისთვის, თუ სესხს ვადაზე ადრე დაფარავთ, ბანკს თავისი მოგება მიღებული უნდა ჰქონდეს. ანუ ბანკი ჯერ სარგებელს იღებს და შემდეგ ძირს. ლარიზაციის შემთხვევაში თუ გაქვთ 1000 დოლარზე ერთწლიანი სესხი, რომელსაც 6 თვე იხდით, ბანკისთვის 600 დოლარი ანუ სარგებელი უკვე გადახდილი გაქვთ და გადასახდელი 600 დოლარი გრჩებათ. ლარიზაციის შემთხვევაში, ბანკმა 600 დოლარი ლარში რომ გადაგიყვანოს, ახალ სესხს, ახალი სარგებლით გაძღვეს. გამოდის, რომ ბანკს სარგებელს ერთის ნაცვლად, ორჯერ უხდის. რეალურად ზა-

რადდება მოქალაქე, რომელსაც სესხის საპროცენტო განაკვეთი უძვირდება და სახელმწიფო, რომელიც დოლარში აღებული სესხის ლარში კონვერტაციის დროს, 20 პუნქტიანი სხვაობის დასაფარად 65 მილიონ ლარს იხდის. ერთი სიტყვით, ლარიზაციის გეგმით ყველა წაგებულ დარჩება კომერციული ბანკის გარდა, რომელიც ორმაგ შემოსავალს მიიღებს.

21 იანვარს „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა ლადო სადღობელაშვილმა საქართველოს ფინანსთა მინისტრს ბრალი საფინანსო ორგანიზაცია „რიკო-კრედიტის“ მეწილეობაში დასდო. „ქუშიშვილი პრაქტიკულად არის მეწილე საფინანსო ორგანიზაცია „რიკო-კრედიტისა“. არაოფიციალური წყაროები იმაზეც საუბრობენ რომ რეალური მფლობელი ამ სამეგობრო კანტორისა სწორედ იგი, რომ ქუშიშვილია! მისი ყოველი ეკონომიკური თუ ფინანსური ინიციატივა, რომელიც სახელმწიფო კანცელარიიდან იყო გაცხადებული ემსახურებოდა მისივე „თამაშების“ ზრდას! მისი ქონებრივი დეკლარაცია ადასტურებს, რომ ვიცე-პრემიერი გვერდის მუხამაშვილი მან პრაქტიკულად აღიარა, რომ ხალხზე ფულს აპროცენტებს.“ - განაცხადა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა.

ლადო სადღობელაშვილზე ადრე მეგობრულ პოლიტიკოსების სიის გამოქვეყნებაზე განცხადება დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გააკეთა: „რამდენი მეგობრული გვეყვოდა პოლიტიკაში. ახლა მომიტანეს 30-მდე პარლამენტარის, პოლიტიკოსის, სამინისტროს ხელმძღვანელის სია, რომლებიც ფულს აპროცენტებენ სხვადასხვა მიკროსაფინანსო სხეულში! შეგიცხვით ნამუსი! ესეც 2.50 ის გამოძახილია, გუშინ თუ 1000 დოლარში 1600 ლარი უნდა გადაგვეხადა დღეს 2500 ლარია ანუ 900 ლარით მეტს ვუხდით. აი, ვის აწყობს ყველაზე მეტად დოლარის აწვევას კიდევ ზღაპრებს ვისმენთ.“ - ეს განცხადება სანდრო ბრეგვაძემ გასული წლის ნოემბერში გააკეთა.



გიორგი კვიციანიშვილი

ნელი თორდია 571 35 36 88

სოლია თუ რაბბის ბურთი?!

ქვეყანაში შექმნილმა ზედმეტად ინტიმურმა გარემომ, სხვისი ლექსი გადამაკეთებინა, ცხოვრებაში პირველად:

გადადიოდა ხელიდან ხელში, კაციდან კაცში, გვარიდან გვარში, სახლიდან სახლში... გზადგზა სვამდნენ, გზადგზა ღვრიდნენ, გზადგზა ჰყრიდნენ, გზადგზა პრევიდნენ და მიუხედავად ამისა მაინც, გამოიარა პარტიის გული, გამოიარა პარტიის სული, გამოიარა პარტიის ძეგლი... და დღეს მიშაის ნაქონი სისხლით, თბილისის ფართე ქუჩებში დადის...

და, აი, აქ უნდა გავჩერდე – იმდენად გრძელი სიაა, ვინმე რომ გამომჩიეს, ეწყინებათ...

(ლექსად დავიწყე და წყველად თუ მიიღებთ მავანნი, მე მაპატიეთ)...

სამყარო ნამდვილად პატარაა, იმდენად პატარა რომ ერთ დღესაც აუცილებლად შეიძლება ლოგინში შეხვდეთ მეგობრის ყოფილ ცოლს... პირველი ჭირს, თორემ მერე ლიწინ-ლიწინით მიდის...

ჰოდა, ასე პარტიის კუთხიდან შემოეფეთა გიგის ბარამიძის

ცხოვრება, ბაბა, აგერ საქათმეზე რომ კიბე გვაქვ, იმასავითაა – აუხსნა მამამ, იგულისხმა რომ ცხოვრებაზე, როგორც კიბეზე, ადინარ და ჩამოდიხარ...

დაფიქრდა შვილი: – ანუ, მოკლე და სკინტში ჩაფლულიო? კი, ბატონო, ასეა, ზოგის მოკლეა, სკინტში ჩაფლული – და მაინც არ ყარს... ზოგის გრძელია, მოვარაყებული, მდიდრული, ძირს ხალიჩა აქვს გაფენილი, საფეხურებზე ნაირნაირი სასმელები ალაგია, რიკულეებზე ლამაზმანები შემომსდარან... და ყარს, ვაი, როგორ ყარს...

შეაწუხა პროკურატურა სუნმა და დაიჭირეს უგულავა... უკითხავს უგულავას საყვარელი ცოლისთვის – ხომ იტირებ, მე რომ არ ვიქნები შენს გვერდით?

აბა რა, საყვარელო, ხომ იცი, მე უბრალო რამეზე მეტირება ხოლმეო – უპასუხნია ერთგულ ცოლს და მას შემდეგ სულ ტირილითა და ამერიკული სერიალების ყურებით იყო დაკავებული. – სახლიდან არ გამოდიხ, 24 საათი სახლში ზის და როგორ უყრით ჭირს, როგორ არ გრცხვინაო, გვამუნათებდა ნანუკა ჟორჟოლიანი...

ჭორი რომ სიმართლედ გადაიქცა, დაფიქრდით გოგოები, ანუ, ტირილი, სახლში ჯდომა და ამერიკული სერიალების ყურება და დაეფიქრებოთ?

ნამეტანი ადვოლი ჩანს, რა-



ნი, ნაცები, მართლმადიდებლები კი არა ხლისტები არიან...

მეორე ვერსიას კიდევ უფრო მეტი მხარდმჭერი ჰყავს და ისინი – სვინგერებად მოიხსენიებენ ნაცებს... აკი, იდებოდა კიდევ უგულავას ისეთი ფოტოები, აი სვინგერებისეული და ცოდვა გამხელი სჯობს, შეწინააღმდეგება მიჭირს... უფრო გაბედულები ამატებდნენ – უგულავა და ბარამიძე ეტყობა ადრეც ცვლიდ-

ტა? ცისფერი სისხლია და სხვა პარტიაში აღრევა არ შეიძლება, თუ როგორ არის თქვენი საქმე?

მასხოვს, შევარდნაძე რომ დავსვით პრეზიდენტად და დავვაქცია, გურულები თავს ბოლომდე ვიმშვიდებდით: – ნამეტანი ბინძური რამეა პოლიტიკა, ასე შორიდან რას გვევიგებთ, ისე უცებ გამოასტორებს ყველაფერს, წაშში... ახლა ასე სჭირდება საქმესო...

კას... იქნება და მე ვერ ვარჩევ ბაჯალლოს რკინისგან?

კახელს ჰკითხეს: – როგორი სიღვრიე გყავს?

რას ამბობ, ჯოო, ჩემი სიღვრიე ოჯახის განძია, ბიჯოო...

ვაა, ეგეთი კარგია?

მამა, ეგეთია, მეშინოდა რო არავის მაეპარა ჩემი განძი და წინა შაბათს 2 მეტრის სიღრმეზე ჩავფალიო...

ამათ ორი მეტრი არ ეყოფათ...

ამდენი წლის ნაგროვებ განძს, ორი მეტრი არ ეყოფა...

გასათხოვარმა, გაუთხოვარმა გოგოებმა და ქალებმა დამაბარეს: ერთი კაცი დაგვიტოვონ მაღლად გაუცვეთავი და უნმარიო... მაგათ 5 ქმარი და ჩვენ არც ერთი, სადაური სამართალიაო...

მეგობრის ქმართან დაწვევებით? – დაუუსვი გადამწვევტი კითხვა...

ტიტუუუ – იყო პასუხი...

ე, როგორც ჩემი ერთი მეგობარი იტყოდა, ამაშია, ბატონო, საქმე...

ისე, ამბობენ, ქორწილი ცოტა ხნით გადაიდებაო, ნორა ბიცოლა გარდაიცვალა და ორმოცამდე მაინც აპ, აპ... რაეა გამოვა...

თაშუნა კოჭელავა
555 46 08 04



ყოფილი მეუღლე ეკა ჯაფარიძე გიგი უგულავას, შემოეფეთა და თვალი ვერ მოსწევია...

აკრიახდნენ თბილისელი „უხობხესები“ (როგორ თავად უწოდებენ თავს) – ვინ მოსდევს უგულავას ცოლად? იმან გვესროლოს ქვა, ვისაც არ უჭირავიაო... თავის ცოლს ვერ მიხედო და...

და დაუკომენტარეს იქვე რიტორიკულად: ცოლია ეგ თუ რაგბის ბურთი და პასი აქვთ გადასაცემიო?

მანამდე კი... მანამდე იყო ლელა კილაძისა და გიგი უგულავას დიდი სიყვარულის დიდი ისტორია... ლამაზი დღეებით, ბევრი პლასტიკური ოპერაციით, ჩვენი ჯიბიდან გადახდილი პლასტიკური ოპერაციით და ბევრი, ისევე ჩვენი ჯიბიდან დაფინანსებული შოპინგითა და დასვენებით...

მამა ცხოვრება რაია? – ჰკითხა გურულს ყაზილარმა.

დაც სხვა საქმეა მანდ... არა, ინგლისური არ ვიცით და ამერიკულ სერიალებს შეიძლება ვერ ვუყუროთ, თორე სახლში ჯდომა და ტირილი ჩვენც შეგვიძლია, მაგრამ, რაღაც არც ეგ ქალბატონი რომ არ გაედა სახლში ნაჯდომსა და თვალებდასიებულს?...

მოგვიანებით, ლელა კილაძეს ახალი ქმარი რომ დაუჭირეს, მოსთქვამდა: – ვისაც გამარჯობა ვუთხარი, ყველა დაიჭირესო და... კიდევ უფრო დავიბენით...

ბიჭოს, სექსს ბევრი სახელი რომ აქვს, გაგვიგია, მაგრამ – გამარჯობაც თუ ერქვა, არ გვეგონა... მას მერე შეშინებულები ყველა ნაცნობს აღარ ვესალმებით...

უკაცრავად და ვისაც გამარჯობას ვუბნებით, ყველას რომ ცოლად მიყვებით, არა უშავს?

და დაიყარა ფეისბუქზე ვერსიები:

ერთი ვერსიის თანახმად, ეგე-

ნენ ცოლებს და მოეწონა ყოფილ მერს მაშინვე, თორემ, ასე ძალიან როგორ მოასწრებდაო... აი, ახლა, ეგ მართლა არ ვიცი... მე საიდან, ერთი პატარა ადამიანი ვარ...

ა, ქალიო – დააფასეს თეა წულუკიანი... გათხოვდა ერთხელ და მყარად...

ერთი ანეგდოტი გამახსენდა კიდევ: გურული მოხვდება კაციჭამიების კუნძულზე, ჩასვამენ ქვაბში, დააყრიან სუნელებს, დაასხამენ წყალს და შეუდგამენ კოცონს... ტუსაღმა ერთ ცხვირში როგორღაყრილ კაცში ნაცნობი გურული ამოიციო და თავგანწირული ხმით შესძახა: – გურული არ ხარ, მამა შენ?

კი ვარ, გურული, მარა შშია, მამა – ამოილულულა კაცმა...

მეგობარი და თანაპარტიული არ ხარ შენც, კაცო, ბარამიძის? რა გშიათ ეგეთი? რაღა ერმანეთის ცოლებისა გშიათ, ჰა? კას-

მაგრამ, სად ხარ, თურმე, კიდევ უფრო დამყავდება, კიდევ უფრო დაბინძურდება, კიდევ უფრო აყროლდება... უფრო გახლისტდება, უფრო გასვინგერდება...

ასე სჭირდება, ალბათ, საქმეს, რას გავუგებთ, პოლიტი-



სიმართლის გზა, გრძელი და მტანჯველია. რაც არ უნდა ღრმად ჩამარხო სიმართლე, ოდესღაც მაინც მოახერხებს „ამოდრომას“ და ნათელს მოპფენს ყოველივეს...

ლავრენტი ბერია საზოგადოების დიდი ნაწილისათვის დღემდე წარმოდგენს სახელმწიფო მოღვაწეს, რომლის ხელმძღვანელობითაც ჯერ საქართველოში, ხოლო შემდეგ მთელს საბჭოთა კავშირში უამრავი უდანაშაულო ადამიანი იქნა რეპრესირებული. ლავრენტი ბერიას მოღვაწეობის მეორე მხარე კი, ნაკლებად ცნობილია.

საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ „მოახერხა“ რომ მისთვის მხოლოდ ჯალათის სტატუსი მიენიჭებინა. ძნელია გაამართლო ბერია როგორც 1934-1938 წლებში საქართველოში მიმდინარე არანაშუალი რეპრესიების ირიბი თუ პირდაპირი მონაწილე, (თუმცა, უამრავი დეტალი დღესაც გაურკვეველია) მიუხედავად ამისა, უსამართლობა იქნებოდა, დაგვევიწყებინა ყველაფერი, ხაზი გადაგვესვა ყველაფრისათვის, რაც ლავრენტი ბერიას, როგორც გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს გაუკეთებია.

ლი რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსი იყო. სწორედ მისი თაოსნობით აშენდა საქართველოში უამრავი სკოლა, სასწავლებელი, სამედიცინო, სასოფლო სამეურნეო და პოლიტექნიკური ინსტიტუტი. დიდ ყურადღებას აქცევდა სპორტის განვითარებას. შესანიშნავი ცხენოსანი, მოცურავე და თითქმის პროფესიონალი ფეხბურთელი გახლდათ.

მისი ინიციატივით დააშრეს დასავლეთ საქართველოში ჭაობიანი ადგილები და იქ სხვადასხვა კულტურები გააშენეს. 1934 წელს ბერიას, დაზვერვის თანამშრომლებმა, ცვილონიდან საიდუმლოდ, ჩაის უნიკალური ნერგები ჩამოუტანეს.

თბილისში მისი დამსახურებით გაკეთდა წყალგაყვანილობა და კანალიზაცია (ვფიქრობ დღემდე არც შეცვლილა) ასევე, 1934 წელს, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა რუსთაველის გამზირს დაირგო ჩინარის ხეები და არაერთი კეთილი საქმე გაუკეთა თავის ქვეყანას...

1938 წლის 29 სექტემბერს, ლავრენტი ბერია გახდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი.

ბერიას ინიციატივით, გადაისინჯა წინა წლებში მსჯავრდებულთა საქმეები. 1939 წელს გადასახლების ადგილებიდან დააბრუნეს „უსაფუძვლოდ მსჯავრდებული“ 223,6 ათა-



უსნობი ლავრენტი ბერია



აღსანიშნავია, რომ ოცდაათიანი წლების რეპრესიებს საბჭოთა კავშირის მასშტაბით ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (შეიქმნა 1934 წლის 10 ივლისს) და ორი სახალხო კომისარი ჰენრიხ იაგოლა (10.VII.1934 – 26.IX.1936) და ნიკოლაი ეჟოვი (26.IX.1936 – 25.XI.1938). მასობრივი რეპრესიები დაიწყო 1934 წლის დეკემბერში და ძირითადად დასრულდა 1938 წლის გაზაფხულზე. ლავრენტი ბერია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარად დაინიშნა 1938 - წლის 25 ნოემბერს, იმ დროს, როცა რეპრესიები ძირითადად დასრულებული იყო. მანამდე, ლავრენტი ბერია ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციუ-

ბერია შეკრიბა კოლმეურნეობის თავმჯდომარეები თითო ჩემოდანი გადასცა დარიგებასთან ერთად. თუ მანამდე საქართველოში ტონამდე ჩაი მოდიოდა მოკლე დროში მოსავალმა 45 ტონას მიაღწია. აშენდა 35 ჩაის ფაბრიკა. ბერია ხელი შეუწყო ციტრუსის, ვაზის და თამბაქოს კულტივაციას, ათათასობით ჰექტარზე გაშენდა ციტრუსი... განვითარდა მესაქონლეობა. აშენდა უამრავი ფაბრიკა-ქარხანა. აბრეშუმის, შალის საქსოვი. განვითარდა მძიმე და მსუბუქი მრეწველობის დარგები...ზღვისპირეთში სწორედ მისი ინიციატივით აშენდა უამრავი სანატორიუმი და პანსიონატი, პიონერთა ბანაკები რომელსაც წელიწადში ნახევარი მილიონი ადამიანი სტუმრობდა სსრ კავშირიდან.

სი ადამიანი, კოლონიებიდან - 103,8 ათასი ადამიანი.

ომის დაწყებამდე იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი და ევალეობდა ამ კომიტეტის გადაწყვეტილებათა კონტროლი თვითმფრინავების, ძრავების, ნადმტყორცნების და სხვა სახის შეიარაღების წარმოებისადმი, მასვე ევალეობდა ქვანახშირის მრეწველობისა და საგზაო მიმოსვლათა სახალხო კომისარიატების მუშაობაზე დაკვირვება. 1944 წლიდან იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ოპერატიული ბიუროს თავმჯდომარე, რომლის ამოცანასაც წარმოადგენდა კონტროლი და დაკვირვება თავდაცვის მრეწველობის ყველა დარგზე.

1953 წლის 5 მარტს ბერია დანიშნულ იქნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

პირველ მოადგილედ და სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრად. მისი ინიციატივით გადახდილ იქნა დაპატიმრებულთა ბევრი საქმე და მრავალნი განთავისუფლდნენ პატიმრობიდან. 26 მარტს ბერია პრეზიდიუმს გაუგზავნა მიმართვა ამნისტიის შესახებ.

იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვმა პოლიტიკური და სამხედრო ელიტის მხარდაჭერით ჯერ ყველაზე ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგე — ლავრენტი ბერია - ჩამოიშორა გზიდან, ხოლო შემდეგ მის წინააღმდეგ თავისი მხარდამჭერებიც არ დაინდო და ხელისუფლებას ჩამოაცილა. ხრუშჩოვმა კარგად იცოდა, რომ 30-იანი წლების რეპრესიების დაგმობით მრავალი მილიონი ადამიანის სიმპათიას დაიმსახურებდა, არადა, ხრუშჩოვი, ისევე როგორც საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ცნობილი წარმომადგენლები, უშუალო მონაწილენი იყვნენ 30-იანი წლების რეპრესიებისა.

საბჭოთა პროპაგანდამ შესძლო ის, რომ თითქმის სრულიად მიიჩქმალა ჰენრიხ იაგოლასა და ნიკოლაი ეჟოვის როლი რეპრესიებში და ყველაფერი ლავრენტი ბერიას გადააბრალა. არავის გახსენებია, რომ 1938 წლის იანვრიდან ნიკიტა ხრუშჩოვი მასობრივ რეპრესიებს ხელმძღვანელობდა უკრაინაში. არავის „გახსენებია“, რომ მასობრივი რეპრესიების გატარებაში მონაწილეობდნენ პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ცნობილი წარმომადგენლები - ვიაჩესლავ მოლოტოვი, გიორგი მალენკოვი, ნიკოლაი ბულგანინი, ლაზარ კავანოვიჩი, ანასტას მიქოი-

ნი, სემიონ ბუდიონი, კლიმენტ ვოროშილოვი და სხვ. არც ის „გახსენებია“ ვინმეს, რომ ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით მუშაობდა მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) დროს საბჭოთა კავშირის

საგარეო დაზვერვა და კონტრდაზვერვა, სტრატეგიული მნიშვნელობის ქარხნები. ლავრენტი ბერია 1944 წლის 3 დეკემბრიდან ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირში ურანის გამოდრების მიზნით მიმდინარე სამუშაოს, ხოლო 1945 წლის 20 აგვისტოდან - ატომური ბომბის დამზადების მიზნით შექმნილ სპეციალურ კომიტეტს. ლავრენტი ბერიას, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკური ლიდერის შესახებ, მის წვლილზე იმ ეკონომიკური, სოციალურ და კულტურული პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, რასაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 30-იან წლებში საზოგადოებისთვის მხოლოდ მცირე ინფორმაციაა ცნობილი. სამაგიეროდ ნიკიტამ მოახერხა და ნახევარი საუკუნით, ტალახში ამოსვარა სტალინის და ბერიას ავტორიტეტი, გაანადგურა მათი ოჯახები, მიითვისა მათი დამსახურებები და მიცვალებულებს მოერია — სტალინი კრემლის კედელთან ისე დამარხა ძველის ღირსადაც არ ჩათვალა ხოლო ბერიას საფლავიც არ აღირსა...

დღეს არაერთი მკვლევარი ალაპარაკდა სტალინის და ბერიას დამსახურებებზე და ხრუშჩოვის ნამდვილი სახე დაანახა ადამიანებს.

ქართველ ზარნაქმ 599 52 60 30

ვაჟა საჭაპურიძე: ქართველებს და ოსებს შორის ჩაბახილი უნდა გაითქვას!



სულ ახლახანს გავრცელდა ხმა, რომ ელუარდ კოკოითი ბრუნდება ცხინვალში და აპირებს მონაწილეობის მიღებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც ჩატარდება ამა წლის 9 აპრილს. ინფორმაციის გადასამოწმებლად დავუკავშირდი შიდა ქართლის ყოფილ გუბერნატორს ვაჟა საჭაპურიძეს. ბატონო ვაჟა კოკოითთან ერთად მუშაობდა წლების განმავლობაში და მის მეგობრადაც ითვლება.

- ბატონო ვაჟა, მართლა ბრუნდება კოკოითი ცხინვალში?

- კოკოითმა, როგორც პრე-

ცემებით ოსთა მხარე უარყოფითად არის განწყობილი ჩვენს მიმართ. ამიტომაცაა საჭირო, მოლაპარაკების შემთხვევაში, ქართველი საზოგადოების გარემოში შეირჩეს ისეთი ადამიანები, რომლებსაც ძალუძს, ადვილად შეცვალონ ოსების ახლანდელი განწყობილება და მოუხსნან მათ ის სინდრომი, რომლის სახელია „უნდობლობა და სიძულვილი“.

- ძნელად მოსასმენია ეს სიტყვები...

- გეთანხმებით, მაგრამ ეს ასეა. პასუხისმგებლობა ჩვენ გვეკისრება და ჩვენი ქვეყნის მთლიანობისათვის ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ. ნუ შევეცდებით,

შემთხვევაში დიდ უბედურებაში აღვმოჩნდებით; კოკოითის ეს საგანგაშო მიმართვა მაშინვე მოვახსენე საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობას, მათ შორის, ჩვენი კონტრდაზვერვის წარმომადგენელს. ზოგიერთი „ორკაპიკიანი პოლიტიკოსი“ დროდადრო შემახსენებს, რომ ოსებს უფრო მეტად იცავო. თუ სიმართლის თქმა დაცვას ნიშნავს, მაშ თავად სიმართლე რაღა არის? კარგი, ჰაიდი ტალიაგინის კომისიაც ოსებს იცავდა? გავისხენოთ, რა დასკვნა გააკეთა 2009 წლის 30 სექტემბერს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა მისიამ? ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო სააკაშვილმა 7-8 აგვისტოს დამით ცხინვალის დაბომბვით, რის შედეგად დაიხოცა და დაიჭრა ადგილობრივი მაცხოვრებლები, მათ შორის, ქალები, ბავშვები და მოხუცებიო. ამავე დროს ცხინვალში დაინგრა და განადგურდა შენობა-ნაგებობების ნახევარზე მეტიო. თუ გახსოვთ, სახელმწიფო ბოროტმოქმედმა, ძებნილმა სააკაშვილმა 8 აგვისტოს დილით „მწუხარებით“ გვაუწყა, რომ ცხინვალის ფაქტიურად დანგრეულიაო, მაგრამ „ახალი ცხინვალის“ აშენებით „გვანუგეშა“...

- ბატონო ვაჟა, თქვენ ელუარდ კოკოითთან ერთად მუშაობდით. საინტერესოა, რა დამოკიდებულება აქვს ამ პიროვნებას ქართველებსადმი?

- არა მარტო კოკოითს, არამედ არ მეგულება ოსთა ძველი თაობის წარმომადგენელი, ჩვენდამი მტრული დამოკიდებულება რომ ჰქონდეს. ჩვენ ხომ ახლონათესაური კავშირები გვაერთიანებს. რაც ჩვენ თავზე დატრიალდა, ეს პოლიტიკური ავანტურისტების ბრალია,

თორემ ოსებსა და ქართველებს რა გვაქვს საჩხუბარი! კოკოითზე მკითხეთ, როგორი აქვს ჩვენდამი დამოკიდებულებაო, გიპასუხებთ, ელუარდ კოკოითს ტრადიციად ჰქონდა ყოველ ახალ წელს სათითაოდ ჩამოეველო ქართული სოფლების სკოლები. ის პედაგოგებს და მოსწავლე ახალგაზრდობას ულოცავდა ახალი წლის დადგომას და ასაჩუქრებდა მათ. ერთ ასეთ ღონისძიებას სოფელ ერედვში დაესწრო ირაკლი ოქრუაშვილი, როცა ეს უკანასკნელი შიდა ქართლის გუბერნატორი იყო. კოკოითი რომ სიკეთის მატარებელია, ამის სხვა მაგალითებიც არსებობს, მაგრამ, რას იზამ, პოლიტიკური კონიუნქტურის წყალობით მას ქართველების დაუძინებელი მტრის ხატი მოარგეს... გავა დრო და ყველაფერს ნათელი მოეფინება. მტერ-მოყვარის საკითხი მაშინ გაირკვევა, როცა ქვეყანა დალაგდება. ახლა კი ელუარდ კოკოითის სიკეთეზე ლაპარაკს და ამაში ველაცების დარწმუნებას აზრი არ აქვს. უბედურება ის გახლავს, რომ ამჟამად ჩვენში ტყუილს უფრო მეტი გასავალი აქვს, ვიდრე სიმართლეს. რა სიკეთეს უნდა ველოდოთ, როცა ჭეშმარიტება სიცრუის ტყვეობაშია!

- თქვენი აზრით, თუ არის იმის შესაძლებლობა, რომ ქვეყნის ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენა რუსეთის გარეშე მოხდეს?

- ჩვენი ქვეყანა რუსეთის ნების გარეშე ვერ გაერთიანდება.

ამაზე ფიქრიც წარმოუდგენელია, არათუ საქმის დაწყება. მჯერა, კოკოითთან ერთად მივალწვეთ სასურველ შედეგს. მაგალითად, შიდა ქართლში ჩემი გუბერნატორობის დროს, პარალელურ რეჟიმში მევალებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაც. საოცრად რთული პერიოდი იყო. მიუხედავად ამისა, მაინც შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება და მღელვარების ჩაცხრობა. სულ რაღაც 2-3 თვეში ერგნეთის ბაზრობასაც ჩაუყვარეთ საფუძველი, რომელიც მთელი საქართველოს საჯარო ობიექტად იქცა. წლების მანძილზე გასტანა ამ მეტად სასარგებლო პროცესმა, მაგრამ ბოროტებამ მაინც შეძლო ვითარების გართულება და ბოლოს ეს რითი დამთავრდა ყველასათვის ცნობილია... ყველაფრის თავიდან დაწყებაა საჭირო.

ყველაფერი გაკეთდება საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ღონისძიებების განხორციელებაზე არც გავიფიქრებ. პარტიზანული ხერხით ამ ურთულეს საქმეს ვერავინ მოაგვარებს. მე დიდი გამოცდილება მაქვს და ვიცი, როგორ უნდა წარიმართოს ქართველთა და ოსთა შერიგების პროცესები. თუმცა, დღეს ამ პროცესების მსვლელობის დეტალური გაშიფვრა ნაადრევია.

გიორგი კორძაძე
571 77 61 95



ზიდენტობის კანდიდატმა უკვე გაიარა რეგისტრაცია და შექმნა წინასაარჩევნო შტაბი. ვნახოთ, დაველოდოთ, რით დამთავრდება არჩევნები ცხინვალში. ჩვენი უპირველესი საზრუნავი ის არის, რომ მეტი პასუხისმგებლობა გამოვიჩინოთ ნებისმიერი შემოთავაზებული პოზიტივის მიმართ და ჯეროვანი გადაწყვეტილება მივიღოთ, რომელშიც აისახება ორივე მხარის ინტერესები.

- კოკოითის დაბრუნებას თქვენ პოზიტივად თვლით, იმ კაცის, რომელიც მიზანმიმართულად ატარებდა სეპარატისტულ პოლიტიკას?

- დიახ, მის დაბრუნებას მე პოზიტივად მივიჩნევ. ქართველებს და ოსებს შორის არსებული ჩატეხილი ხიდი ელუარდ კოკოითის ხელშეწყობითაც აღდგება. მე მას ძალიან კარგად ვიცნობ, მჯერა მისი. კოკოითის თავკაცობით ბევრ სასიკეთო საქმეს ჩაყვრება საფუძველი. მთავარია, ჩვენი მხარე გაგებით მოეკიდოს შექმნილ ვითარებას; და თუ ეს მოხდება, დღეს „მიძინებული“ ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საქმე წინ წაიწევეს და

სხვისი ხელით მივადწიოთ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებას. მერწმუნეთ, რომ ჩვენ უფრო ახლოს ვიმყოფებით ოსებთან და უცხო მხარეების ჩარევის გარეშე გაცილებით ადვილად მივალწვეთ შერიგებას.

- სახალხო დიპლომატიას დიდი ძალა აქვს, მაგრამ ჩვენში არსებობენ პოლიტიკოსები, ვგულისხმობ არა მარტო „ნაციონალებს“, რომლებსაც განსხვავებული შეხედულებები აქვთ კოკოითზე.

- სიმართლე გითხრათ, დავიდალე მაგ „ორკაპიკიანი პოლიტიკოსების“, ავანტურისტების და დემაგოგების ცხოვრებაში და ტელეეკრანზე ყურებით. სწორედ რომ მათმა უპასუხისმგებლობამ და, პირდაპირ ვიტყვი, დანაშაულებრივმა ქმედებებმა დაატოვებინეს ქართველებს თავისი სახლები. რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა ჩემთან ინტერვიუ, სადაც თვალნათლივ ჩანს 2008 წლის 7 აგვისტოს საომარი მოქმედებების მთელი ციკლი. ამ ინტერვიუში იყო ნათქვამი, რომ ელუარდ კოკოითმა თავი ნახევრით ადრე ჩვენს ხელი-



გუბა სოტივარი: მაშინ, მეორე საუკუნეში...



ლერი სინარულიძე

(გაბრძობა, დასაწყისი იხ. „სბ“ N1 2017)

ლერი სინარულიძემ გადაიღო „უსასრულობა“ - ჩემი ერთერთი ყველაზე საყვარელი ფილმი. აი, ნიმუში „სუფთა“ კინემატოგრაფის! ამ ფილმს ვერც მოყვები, ვერც აღწერ, ვერც შეადრი ვერაფერს. ის არ გავს არცერთ ფილმს, ისევე, როგორც ლერი არ გავს არავის. ეს ფილმი უნდა ნახო და იგრძნო. იგრძნო და დაეფასო ფილმის განუყოფელი სამყარო, მისი პლასტიკა, ფარული იუმორი და რაღაც აუხსნელი სევდა, ფილმის მეორე ნახევრიდან მილიანად რომ გეუფლება და ფილმის დამთავრების შემდეგ კიდევ დიდხანს რომ მოგყვება როგორც ჩუმი სულიერი კავშირი შენსა და იმ ხალხს შორის, ერთ მოხუც მოცეკვავეს იუბილეს რომ უხდოდა...

დალხინებული არც ამ ფილმის გზა იყო ეკრანამდე. ბევრი წვალეა, ტექნიკური წუნი, თავიდან გადაღება, ცენზურასთან დაპირისპირება (...არ გვესმის, ბატონო, რისი თქმა გსურთ ამ თქვენი აბლაბუდით!). ლერი მართლაც აღიზიანებდა ბევრს თავისი არასტანდარტულობით და გარეგნული (მხოლოდ გარეგნული) დაულაგებლობით. სულის სიღრმეში ლერი საკმაოდ მკვირივი პიროვნებაა, უბრალოდ რომ ვთქვათ - კერკეტი კაკალია, რომელსაც ვერანაირი



ლერის სოტივარი

გარეშე ზემოქმედება ვერ ცვლის. ის ლერი სინარულიძეა და მორჩა: მიიღე ისეთი, როგორც არის და ნუ ცდილობ მის გადაკეთებას. ცხვირს წაიტეხ. ლერი, როგორც ყველა გურული, კრიმანჭულს გაეს, მოულოდნელი გამოხტომებით, დაუჯერებელი წიაღსვლებით, ამავე დროს, ათასწლეულებში გამოვლილი კულტურით... ლერიმაც ავობა ცენზურას. იყო ფილმის დახურვის აშკარა საშიშროება, მაგრამ ჩაერია ისევე რეზო ჩხეიძე, ჯადოსნური მზერით რომ ათაყვანებდა ცენზორებს (აქაურებსაც და იქაურებსაც) და აიძულა ფილმისთვის მწვანე შუქი აენთოთ... .. დიდი ხნის შემდგომ, სულ სხვა ეპოქაში, ლერის სცენარიტა და მხატვრული ხელმძღვანელობით, შეიქმნა „ლელოს შემობრუნება“. დააკვირდით, ლელოს გატანის კეთილშობილური სპორტული მიზნით როგორ ლამაზად, როგორი აზარტით დარბიან სხარტი ქართველი ბიჭები და თანდათანობით, ბურთის გამოგლეჯის სურვილით, როგორ კარგავენ ადამიანის სახეს, როგორ გადადიან გამაგებაში და როგორ იქცევიან ერთ დიდ ზღვარგადასულ, ისტერიკაში ჩაყარდნილ ჭიანჭველათა ხროვად... მეორედ მოსვლაა ნამდვილად. მეორედ მოსვლაა იესო ქრისტეს გარეშე. კარგად დააკვირდით ამ ფილმს: ბევრ პარალელს მოძებნით, ბევრსაც

განაზოგადებთ. ფილმი მივიწყებულა რატომღაც. არ მესმის, რატომ. ზმირ-ზმირად რომ გვენახა, იქნებ ცოტა მაინც დაეფიქრებულყავით ჩვენს გადაჭარბებულ ემოციურობასა და ზმირად უაზრო და თავგასულ ისტერიულობაზე...

* * *

რეზო ესაძის „წიკპურტები“. რეზო ჩხეიძემ საბჭოთა ცენზურისგან დევნილობაში მყოფი და გური-აში მიმალული რეზო ესაძე მოძებნა, ჩამოიყვანა და ფილმის გადაღების (ანუ მეორედ დაბადების) საშუალება მისცა. ესაძის უმძიმესი დანაშაული ის იყო, რომ „ერთი ნახვით შეყვარების“ გადაღება უნდოდა ისე, როგორც მას, მართლაც ნიჭიერ კაცს, მიაჩნდა. სიყვარულის ასხნა ესაძეს უნდოდა თავისებურად, და არა ისე, როგორც პეტერბურგელ

ალიზმის გამყინვარებაში, გადაიღო მაშინ, როცა სურვილიც კი ისჯებოდა რელიგიური ფილმების გადაღებისა. უშველებელ საბჭოთა კავშირს ზომ ყველაზე უფრო იესო ქრისტესი და ქრისტიანობისა ეშინოდა...

მოსკოვში (მგონი 1969 წლის ზაფხულში) ფილმის მიღებისას წაიკითხეს თუ არა ეკრანზე საწყისი ტიტრი „ფრესკა“ - უმაღლესი დიპლომის (იმ წლებში ბოლშევიკები ზომ „ანდრეი რუბლიოვის“ ფინალში კლასიკურად გადაღებულმა ფრესკებმა პანიკაში ჩააგდო, ამიტომ გასცეს ფარული ბრძანება: არავითარი ფრესკები, არავითარი წმინდანები ეკრანზე!), ხოლო, როცა პირველივე კადრში ალავერდის ტაძარი დაინახეს, ატყდა წრიალი და ხველება.

- Не тайный ли это призыв к возрождению религии?! - ავისმო-

ხატთან. წმინდანები სრულ სიჩუმეში თითქოს გაკვირვებითა და საყვედურით გვიყურებენ, ეს ვინ ხართ, რად გადაიქცით, რას იქმნით... მაგრამ ისინი ზომ წმინდანები არიან და მათი ხილვა უდიდეს ძალას გმატებს. ფრესკა ზომ მხოლოდ პორტრეტი არ არის, ის ზომ სინამდვილეში სარკმელია უსასრულობისა, ღმერთის იდუმალებისა. ფრესკების თანდათანობით გახსნისას გეუფლება სიწმინდრე, იესო კეთილი ენერგიით, გაპყრობის დაუფარავი სინარული და რომელიღაც მომენტში გაგინათლება - ღმერთი ისევე შენთან არის! ღმერთი არ მიგატოვებს, ნუ გემინია, გამოფხიზლდი, ღმერთი შენ გვერდით იქნება მუდამ!

წამშლეღის საღებავი იფხიკება. ჩნდება მარადიული....

- На что вы намекаете? - წაი-



რეზო მსაძე

ცენზორებს. კაცი კინალამ გაანადგურეს (ამას თვით ესაძე გეყვებოდა მისთვის ჩვეული იუმორით). რეზო ჩხეიძე გადაეფარა ესაძეს. გარანტია მისცა უფროსებს, რომ აწი ესაძე დატყვევდებოდა და მოიქცეოდა ისე, როგორც შეჭფერის ნამდვილ საბჭოთა მოქალაქეს. ამით გადაარჩინა „ერთი ნახვით შეყვარება“, თვით ესაძეც და, გარდა ამისა, მისცა საშუალება გადაეღო სრულიად არასაბჭოური ფილმი - „წიკპურტები“. ფილმი ყველამ კარგად ვიცით და ვიტყვი მხოლოდ, რომ მეც, ამ ფილმის გმირებისა არ იყოს, ზმირად უაზროდ ავმძვრალვარ და შეერჩენილვარ სხვადასხვა ხეზე, ზმირად დამტაკებთან აგრესიული ქოფაკები (რაც ბოლოს და ბოლოს მათი კნაველებით დამთავრებულა), ზმირადაც გაუშპარცვივართ თავიდან ფეხებამდე ისე, რომ აზრზე ვერც კი მოვსულვარ...

* * *

ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე ომარ გვასალაიმ გადაიღო ერთის შეხედვით სრულიად უწყინარი მოკლემეტრაჟიანი „ფრესკა“. ჩემის აზრით, მისი ყველაზე თბილი ფილმი, სავე სიღრმითა და სასოებით. ომარმა გადაიღო ეს ფილმი მაშინ, იმ ათეისტური ხელისუფლების დროს, განვითარებული სოცი-

მასწავებლად გადაუჩურჩულეს ერთმანეთს დარბაზის სინელებში გაღიზიანებულმა ათეისტმა ცენზორებმა. ჯერ ფილმი არც ენახათ და უკვე დაშინდნენ. ერთმა წარწერამ დააშინათ და ეკლესიის ერთმა დანახვამ.

- Постойте товарищи, - დარბაზის სინელებში გაბოროტებული ხმები გაისმა, - Смотрите, что они делают со стенами? Ах, да это ведь реставрация их (их!) фресок!

ჩვენი ეკლესიების ფრესკები ზომ საღებავებით გადაღება ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ XIX-ე საუკუნეში. მათი გადაწვევებით ქართული ყველაფერი უნდა წაშლილიყო - მამულიც, ენაც და სარწმუნოებაც. იგივე ედოთ გულში საბჭოთა ცენზორებსაც - ბევრ მათგანს კი საქართველოს საქმე უკვე დამთავრებული ეგონა - და უეცრად რას ხედავენ: ქართველები იწყებენ საკუთარი ფრესკების აღდგენასა და განახლებას! მართლაც, ეკრანზე ალავერდის დიდებული ეკლესიის (какая-то заброшенная церквушка!) ჩამოვებულ კედლებს რესტავრატორები დიდხანს ყურადღებით წმენდენ. მოთმინებით აცლიან ზედა ფენებს და ჩვენს თვალწინ, თითქოს საუკუნეების სიღრმეიდან, თანდათანობით ჩნდება გასაოცარი ზატები წმინდანებისა. ხდება მისტიკური შეხვედრა

სისინა დანაყვებული ქალის ზრინწიანმფ ხმამ. (რისი შეეშინდა? სულ სხვა კომპარი - რუსეთის სამეფო ტახტის რესტავრაცია ზომ არ მოეწონა? არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში ჩვენი მასპინძლები რაღაცაზე (რადაც სხვაზე) მწარედ რომ ჩაფიქრდნენ - აშკარაა.

ომარის ფილმი მათ გულში მოხვალთ. მაგრად მოხვალთ. თითქოს, მათი იმპერია ისეთი ძლიერი არ დამოინდო. ეკრანზე ზომ სწორედ მათი წინაპრების მიერ განადგურებული ფრესკების აღდგენა მიმდინარეობდა. განადგურებული არ ყოფილა განადგურებული, მკვდრეთით აღდგომა შესაძლებელი ყოფილა - აი ასე (პრინციპში, სწორად) გაიგეს სურათის არსი...

ფრესკების ტყვეობიდან განთავისუფლების შემდგომ საიდანდაც შორიდან ალავერდის ტაძართან მოდის ღრმად მოხუცებული ქალი და კაცი და ცარიელ ეკლესიაში დიდის სიწყნარეში უნთებს ღმერთს საწილს... (Почему ваши святые видят пустую церковь? - უმრევლო ეკლესიაზეც გაღიზიანდნენ). ისეთი მეტეფორაა, ისე აშკარად ჩანს ავტორის პოზიცია, რომ ცენზორების ნერვების აწეწვა სავესებით გასაკები ხდება...

როცა ფილმი მორჩა და სინათ-

გსოფლიო სივილიზაცია უკველასი კოლხური სივილიზაციისგან იზვა?



(ბაბრქმლვა, დასაწყისი 0ხ. „სპ“ N1 2017)

იაფეტის ძე იავანში, როგორც უკვე ითქვა, „ვანის სამეფო“, ანუ ვანის ტბისა და არარატის სანახები იგულისხმება და არა ძველ საბერძნეთში მცხოვრები, შეცდომით ბერძნულ ტომებად მიჩნეული იონიელები. იონიელები იბერიულ-კავკასიური პელაზგებისა და დანაიდების მონათესავე ტომები იყვნენ.

ბიბლიის მიხედვით, იავანის ძე არის ელიშა. „ელიშა“ — აქ ნამდვილად დორიულ-კიმირიელთა შთამომავალი ელინები იგულისხმება, რომლებიც პელაზგების, დანაიდებისა და სხვა არაბერძნული ტომების ტერიტორიებზე დასახლდნენ ბალკანეთში.

„თარში“ — აქ კილიკიის თარში იგულისხმება, სადაც ერთ დროს სახლობდნენ თუბალები. სწორედ ამ კილიკიის ტერიტორიებზე მცხოვრები თუბალების გამო დაუკავშირა ლეონტი მროველმა მის მიერ ახლად გაუღებული ეთნონიმი „თარგამოსი“ ქართულ ტომებს და მათ წინაპრად გამოაცხადა. თარშიში (თარში) ძველად, მთელ ტავროსის მთიანეთთან არსებულ ტერიტორიას ეწოდებოდა და შემდეგ კილიკიით შემოსიხლდა. თარშიში (კილიკია), სწორედ აქედან იწყებოდა ერთ დროს თუბალების საცხოვრისი. ამიტომაც

აღნიშნავს ლეონტი მროველი თარგამოსიანთა თავდაპირველ საცხოვრისად სწორედ „ორთა მათ მათა შუა კაც შეუვალსა არარატსა და მასისსა“. („არარატი“ — თავისთავად არარატის მთებს გულისხმობს ლეონტი მროველი, ხოლო აქ მასისის მთებში გულისხმობს არა არარატს. სომხები, როგორც ვიცით, არარატს მასისს ეძახდნენ და მცირე აზიის აღმოსავლეთით, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე და სირიის ჩრდილოეთით არსებულ ტავროსის მთიანეთსაც ერთ დროს მასისს ეძახდნენ). სწორედ არარატის სანახებიდან, მასისის (ტავროსის) მთების მიდამოებამდე იყვნენ განსახლებულები თუბალები ერთ დროს. აგრეთვე, სწორედ ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა იავანის ძე და თარშიც.

„თარ-გამოს“ — ეს ლეონტი მროველის შემოქმედების ნაყოფია. მისი ფუძე „თარ“ პირდაპირ უკავშირდება ბიბლიურ „თარშიშს“. „თარ-გამოს“, აგრეთვე ნიშნავს „თარ“ ტოპონიმ და ეთნარქ „თარშიშს“, ხოლო „გა“, „გამ“ — მიწა ე.ი თარშის მიწა. საინტერესოა „თარგამოსის“ მეორე ეტიმოლოგია — „თარ“-მთავარი, „გამ“ — „მიწის მთავარი“, „მიწის ბატონი“.

როგორც „ქართლის ცხოვრებიდან“ არის ცნობილი, ლეონტი მროველის ვერსიით, იაფეტის ძეა იავანი, იავანის ძეა თარგამოსი, ხოლო თარგამოსის ძეები არიან: ჰაოს,

ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლეკოს, ჰეროს, კავკასოს და ეგროს. ლეონტი მროველის „თარგამოსის“ დაწერილობა ძალიან ჰგავს ბიბლიური „თარგამოს“ სახელის დაწერილობას. რა თქმა უნდა, მან სახელი „თარგამოსი“ სპეციალურად მიამსგავსა ეთნარქ „თარგამოს“.

იავანის ძე ქითიმი — კვიპროსელებს ნიშნავს „დოდანაში“ — ზოგი დარდანებსა და ტროელებს უკავშირებს, ზოგი — კუნძულ როდანიმთან (როდოსი). საინტერესოა ტოპონიმი დოდონე, სადაც იყო ზევსის უძველესი ტაძარი დოდონეში.

რაც შეეხება ეზეკიელთან ეთნონიმებს „გოგს“ და „როშას“. ეზეკიელი ამბობს: „უთხარი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენზე ვარ გოგ, რომის, მეშექის და თუბაღის მთავარო! გაგაბრუნებ და ყბაში ჩანგალს ამოგდებ... თოგარმას სახლს ჩრდილოეთის კიდებიდან მთელი თავისი ურდოთი, ურიცხვი ხალხითურთ შენთან ერთად“ და კიდევ ეზეკიელი: „ადამიანის ძეგ! იწინასწარმეტყველე გოგზე და თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აჰა, შენზე ვარ რომის, მეშექის და თუბაღის მთავარო... ისრაელის მთებზე დაეცემა მთელი შენი ურდოიანად და ხალხთან ერთად, შენ რომ გახლავს...“ (ეზეკიელი თ 39 მ 1-3)

ეზეკიელის დრო სწორედ ის პერიოდია, როდესაც კოლხეთში ჩრდილოეთიდან სკვითები (კიმირიელთა ერთ-ერთი შტო) შემოდიან, რომელთაც აგრეთვე ბიბლიაში „მაგოგიდან“ წარმოდგარ „გოგს“ უწოდებენ — „გოგ-ი“, „მაგოგის“ წინამძღოლი.

სწორედ სკვითურ-კიმირიული და ნაწილობრივ მონგოლოიდური წარმომავლობის ხალხებმა, აგრეთვე „თოგარმას სახლის“ ურდოებმა გომერის მოდემიდან. ეზეკიელი ამბობს: „გომერს თავისი ურდოთი, თოგარმას სახლს...“ (ეზეკ. თ.38მ.6), სწორედ ამ ტომებმა: „გოგმა“, „გომერმა“, „თოგარმა“ და „როშმა“, რომლებმაც დაიმორჩილეს კოლხები, მესხები, თუბალები. აიძულეს ისინი, რომ მათთან ერთად ელაშქრათ ისრაელის მთებზე. ამიტომაც მოიხსენიება „გოგი“ თუბაღისა და მეშექის მთავრად ე.ი გოგის მიერ დაპყრობილად. რომა — სლავი, ინდო-ევროპელებისა და ერთ-ერთი მონგოლოიდური ტომის, ნარევი ტიპის ტომია, რომლებმაც შემდეგ საერთო სახელი მისცეს შემდგომ ჩამოყალიბებულ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალ-

ხების ერთობას, „როშა“ ანუ „რუს-ეთი“.

ახლა განვიხილოთ რა კავშირი არსებობს დიაოხის (ასურული წყაროების, დაიანის, დანი) სამეფოს, პელაზგ-დანაიდებს, ებრაულ დანის ტომსა და მოციქულთა დროის გალილეელებს შორის. იაკობის ძენი (დაბადება თ.35 მ 23); ლეას ძენი იყვნენ რეუბენი-იაკობის პირში: სიმონი, ლევი, იუდა, ისაქარი და ზებულონი. მ.24 რახელის ძენი იყვნენ იოსები და ბენიამინი. მ.25 ბილჰას ძენი რახელის მხევლისა: გადი და აშერი. ესენი არიან იაკობის ძენი რომელნიც შეეძინა მას ფიდან-არამში. აქვე საგულისხმოა ინფორმაცია რომელიც შემდეგ დაგვკვირდება, რომ იოსების ტომი გაიყო ორ ნაწილად. ესენია: დაბადება თ. 46 მ. 20: „შეეძინა იოსებს ეგვიპტის ქვეყანაში ვაჟიშვილები... მენაშე და ეფრემი.“ ე.ი დაბადების თორმეტი ტომი, ესენია: რეუბენი, სიმონი, ლევი, იუდა, ისაქარი, ზებულონი, იოსები, ბენიამინი, დანი, ნაფთალი, გადი და აშერი. იოანეს „გამოცხადების“ გადარჩენილთა თორმეტი ტომი, ესენია: (გამოცხადება თ.7 მ.4-8) იუდა, რეუბენი, გადი, აშერი, ნეფთალი, მენაშე, სიმონი, ლევი, ისახარი, ზებულონი, იოსები, ბენიამინი“. ე.ი ლევის ტომი ყოველთვის იყო თორმეტ ტომში, ხოლო იოანემ დანის ნაცვლად აპიკალიფსში შეიყვანა იოსების ერთ-ერთი ძე — მენაშე.

რატომ არ არის „აპოკალიფსში“ დანის ტომი? — ისმის კითხვა. ზოგმა სასულიერო პირმა ამას პრიმიტიული პასუხი გასცა, რომ აპოკალიფსური 666 ანუ ბოლო ჟამის ანტიქრისტე დანის ტომიდან იქნებაო და ამიტომაც დანის ტომი ვერ შეეცა ცათა სასუფეველში, რაც როგორც ქრისტიანული მორალით, ისე თეოლოგიური აზროვნებით და ყველანაირად, დიდი აბსურდია.

დავიწყოთ იმით, რომ ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ ებრაული თორმეტი (ზოგჯერ ცამეტ ტომსაც ახსენებენ, რადგან იოსების ტომი ორად გაიყო) ტომი დასახლდა ქანანის, ანუ პალესტინის ტერიტორიაზე, ბიბლიის მიხედვით, სამხრეთით დასახლდნენ იუდას ტომები. მათგან ჩრდილო-დასავლეთით, ფილისტიმელთა სიახლოვეს კი დანის ტომი განსახლდა. იუდეის ჩრდილოეთით ისრაელიტელთა დანარჩენი ტომები დასახლდნენ. ლევის სამღვდელ ტომს მიწა არ ერგო, რადგან რელიგიური სამსახური ერგოთ წილად. იუდეის უკი-

დურეს ჩრდილოეთით გალილეის ტერიტორიაზე კი თავდაპირველად ნეფთალის ტომი დასახლდა, რომელიც დანის ღვიძლ ძმად არის მოხსენიებული ბიბლიაში, რახელის მხევალ ბალასგან (ბილჰასგან) შეეძინა იაკობს შვილები დანი და ნეფთალი. დროთა განმავლობაში დანის ტომი, რომელიც შეეწროებას განიცდიდა ფილისტიმელებისგან, რადგანაც ფილისტიმელები მათ მეზობლად ცხოვრობდნენ, გადასახლდა სწორედ ნეფთალის ტერიტორიაზე. მათი კულტურული ცენტრი იყო უძველესი ქალაქი დანი. სწორედ ამ ტერიტორიაზე, სადაც დანის ტომი გადასახლდა, მდებარეობდა გალილეას ისტორიული მხარე. ისრაელის უდიდესი არქეოლოგი ივარილ იადანი, რომელიც პირადად იღებდა მონაწილეობას გალილეის ტერიტორიაზე მიმდინარე გათხრებში და აკვირდებოდა დანის ტომის საცხოვრისი კულტურულ ფენას გალილეაში, ანუ დანის ისტორიულ საცხოვრისში, ამტკიცებდა, რომ ებრაული დანის ტომი არაებრაული წარმოშობისაა და უფრო ძველ ბერძნული ტომები, არგოსელი დანაიდების შთამომავლები უნდა იყვნენ.

როგორც ისტორიკოსი ცნობილი, არგოსელი დანაიდები პელაზგ-ფილისტიმელებთან ერთად ლაშქრობდნენ პალესტინის ტერიტორიაზე და შემდეგ საბოლოოდ დამკვიდრდნენ ქანანის ამ ტერიტორიაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არგოსელი დანაიდები პროტობერები იყვნენ; რომ იგივე ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით, ცნობილია, რომ არგოსელი დანაიდების ნაწილი აპენინებზე გადასახლდნენ და ეტრუსკებთან ერთად შექმნეს სახელმწიფო. მე მაინც მიმაჩნია, რომ დანის ტომი უფრო დიაოხის დანელები იყვნენ და სწორედ დიაოხიდან გადმო-სახლდნენ გალილეაში გამინ, როდესაც დიაოხი კიმირიელებმა დაიმორჩილეს. დანის ტომი დიაოხის სამეფოს ძე, ლაზური ტომი უნდა ყოფილიყო. დანის ტომელთა და გალილეელებთა თავის ქალის ორი ხაზის კუთხის ანალიზი მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ გალილეელებს სწორედ ისეთი კუთხე აქვთ, მართ კუთხესთან მიახლოებული, როგორც კავკასიელებს და იბერიულ-კავკასიურ ხალხებს და ეს კუთხე განსხვავებული აქვთ იბერიულ-კავკასიელებს ყველა სხვა რასასთან შედარებით.

(ბაბრქმლვა იქმნება)

„ნასიონალური“ თესლიდან აღმოცენებული „გირი“ საქართველოს „დაბოლბას“ ცდილობს

„გირი“ ოფისიდან წაღებულ ნათესების ექსპერტიზის შედეგები ჯერ უცნობია, მაგრამ გასულ კვირას მარიხუანას დათესვაზე უარესი ამბავი გვამცნეს ტელევიზიებით: იმერეთის რეგიონში ერთ-ერთი სასულიერო პირის საცხოვრებელი სახლიდან კანაფის მცენარე, იგივე მარიხუანა ამოიღეს! დახმარებისთვის სასულიერო პირმა „გირი“ ქუთაისის ოფისს მიაკითხა, რომლებმაც მისი ადვოკატობა ითავეს.

„გირი“ და მისი წევრების პროვოკაციებზე ყურადღების გამახვილება შეიძლება არც ღირდა, მაგრამ სასულიერო პირის სახლიდან ამოღებული მარიხუანის ფაქტი დამაფიქრებელი და მართლაც შემამფოთებელია. პრესკონფერენციაზე სასულიერო პირმა

შორსმხედველი, ავანტიურა ჩანაფიქრია. დემოტმა დაგვიფაროს, რომ საქართველოს დედა-ეკლესიაში ნარკოტიკებმა მოიკიდოს ფეხი. ამაზე ფიქრიც არ გვინდა. სამწუხაროდ, იმერეთში მომხდარ ფაქტზე საპატრიარქო რატომღაც დუმს.

საქართველოს დედა-ეკლესიას, მართლმადიდებლობას, ქვეყანა და მოსახლეობას დიდი ხანია ომი გამოუცხადეს გარეშე თუ შინაურმა, რამდენიმე ვერცხლად გაყიდულმა მტრებმა. ჯერ იყო და იელოველთა სექტა მოგვახვიეს თავზე და დაგვიკანონეს. ახლა ცდილობენ, ნარკოტიკების და ნარკომანიის დაკანონებით საქართველო კატასტროფამდე მიიყვანონ. ნარკომანის ზიანის მოტანის გარდა არაფერი კარგის მოტანა არ შეუძლია,

ბატონები. ამასთან, მათი მიზანი, როგორც ნარკომანიის ლეგალიზების ინიციატორები თავად ამბობენ, ნარკოტიკებით ვაჭრობა ყოფილა. „ნარკოტიკების ლეგალიზების შემთხვევაში საქართველოში ტურისტების რაოდენობა და ამით მატერიალური შემოსავალიც გაიზრდება“, — ურცხვად აცხადებენ გირჩელები. ნარკოტიკების მოსახმარებლად როგორი დონის „ტურისტები“ ჩამოვლენ, ძნელი წარმოსადგენი სულაც არ გახლავთ.

ნარკოტიკების მოთხოვნილების გაზრდის შემთხვევაში მისი იმპორტი გახდება საჭირო. სწორედ ამ შავი ბიზნესის ხელში ჩაგდება სურთ, თორემ საქართველოში სად გვაქვს იმის საშუალება, ვაწარმოოთ დიდი რაოდენობით



ფურნალისტებს განუცხადა, ავად ვარ სხვადასხვა მძიმე დაავადებით და მცენარეს სამკურნალოდ ვიყენებდი.

უნებურად გვიჩნდება შეკითხვა: დასახმარებლად რაღა მინაცდამინც გირჩელებს მიმართა სასულიერო პირმა? ხომ შეიძლება, დასახმარებლად საპატრიარქოსთვის მიემართა და არა ორგანიზაცია „გირისთვის“, რომელმაც ფაქტობრივად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა?

იმერეთში მომხდარი შემთხვევა, სავარაუდოდ, „გირი“ სათავისოდ გამოყენდა და რამდენიმე სახის პროვოკაციის მოწყობას შეეცადა. ჯერ ერთი, მათი სურვილი იყო, ვითარება ისე წარმოეჩინათ, ვითომ საქართველოში სასულიერო პირებს ავიწროებდნენ. აქაოდა, ნახეთ, სასულიერო პირების შემოწმებასაც არ ერიდება დღევანდელი ხელისუფლებანი. იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს.

კიდევ ერთი ვირემპაკობა, რომელიც გირჩელებს პქონდათ ჩაფიქრებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი მიზანი ისიც გახლდათ, ხალხისთვის შეფარვით ეთქვათ, ჩვენგან რას ითხოვთ, ავერ, ბატონო, ნახეთ, მარიხუანას მცენარე სასულიერო პირებსაც პქონიათ და იყენებენ კიდევო. ეს კი

რადგან არაპროგნოზირებადია. ნარკოტიკული შიმშილის შემთხვევაში არაადეკვატური ხდება, ყოველივე ეს კარგად მოეხსენება ჩვენს მოსახლეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, დუმის ამჟღავნებენ.

ამით ხელს ვუწყობთ, ვიდაცებმა, ვისაც არაფრად უღირთ ჩვენი შეილების, მომავალი თაობის ჯანმრთელობა, მათი მომავალი, ხელი მოითბონ ჩვენზე უბედურებით. რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი იტყვის, რომ სურვილი აქვს, ნარკომანი შეილი, რძალი, სიძე ჰყავდეს. არ გვინდა, მაგრამ ჩუმად ვართ, ყურადღებას არ ვაქცევთ. ამასობაში ე. წ. გაყიდული არასამთავრობოები აქტიურობენ. მოსახლეობას სურს ნარკომანიის ლეგალიზებაზე. იტყვიან დად საკანონმდებლო თუ სამთავრობო სტრუქტურებისთვის მათი აზრი უფრო გასათვალისწინებელია, ვიდრე საზოგადოების. ამიტომაც, სავარაუდოდ, იოლად მიიღებენ ქვეყნისთვის ამ დამღუპველ კანონს.

გირჩელების ვითომდა მიზანი, დაიცვან ხალხი მცირე დანაშაულისთვის ციხისგან, სულაც არ გახლავთ რეალური. პირის-ხლიანი „ნაცმოძრაობის“ ზეობის პერიოდში არათუ მცირე, საერთოდ, სუდანაშაულო ადამიანებს უსჯიდნენ უზომოდ დიდ პატიმრობას. სწორედ იმ დანაშაულებზე პარტიის შთამომავლები არიან ეს

ნარკოტიკები. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ფაქროს და კანაფს დავეთესავთ, საჭმელ-სამეღზე უარი უნდა ვთქვათ.

„ნაცმოძრაობის“ წევრებისთვის საქართველო, როგორც სამშობლო, არც არასოდეს ყოფილა, მათთვის ეს ცნება უცხო და მიუღებელია. მათთვის საქართველო ქვეყანაა, სადაც მხოლოდ ისინი უნდა პარპაშებდნენ, „გირი“ „ნაცმოძრაობის“ ნაყოფა და რა გასაკვირია, მათგან რაიმე ბინძური საქციელი, თუნდაც სასულიერო პირთან დაკავშირებული საქმე. დახმარების ნაცვლად ადამიანისთვის სახელის გატეხა სურდათ და ამასთან, შეფარულად ჩვენს დედა-ეკლესიას, საერთოდ, მართლმადიდებლობასაც შეუტოეს.

დიახ, ახლა ჯერი საზოგადოებაზეა, რომელმაც ყველას უნდა მიუჩინოს თავისი ადგილი. საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ მრავლად არიან ადამიანები, რომლებსაც სამშობლოსთვის შესტკივთ გული და არ დაუშვებენ ქვეყნისთვის დამღუპველი კანონების მიღებას. მტერმა უყურა თავის ოჯახში „დაბოლილი“ შვილს, სიძეს, რძალს. მით უფრო, თუ „სიძედ“ მღედრი, ხოლო „რძლად“ მამრი ყვოლება...

ბიკ ბურღული 551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კავლიძის კონსულტანტი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



— რა სახის სასჯელები შეიძლება დაინიშნოს დანაშაულის ჩადენისათვის?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგინებ სრულად: მუხლი 40. სასჯელის სახეები

- სასჯელის სახეებია: ა) ჯარიმა; ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; დ) გამასწორებელი სამუშაო; ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა; ვ) თავისუფლების შეზღუდვა; ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა; თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა; ი) ქონების ჩამორთმევა.

— გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

— საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

21. ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის დანიშვნა.

იურიდიული პირის სასჯელის სახეები განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი ნორმებით. მუხლი 1073.

იურიდიული პირის სასჯელის სახეებია:

- ა) ლიკვიდაცია; ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; გ) ჯარიმა;

ვარ 44 წლის ენერგიული, პოზიტიური ქალბატონი, ვეძებ სამუშაოს ოჯახში დამხმარედ. დავალაგებ, მოვამზადებ კერძებს. ვატარებ წრეებზე სკოლის ასაკის ბავშვს. მაქვს სამუშაო გამოცდილება. ტელ.: 599 808 231. ის

დ) ქონების ჩამორთმევა. 2. ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად. 3. ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. 4. ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

— სად და რა წესით ხდება განქორწინების რეგისტრაცია?

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1137-ე მუხლის მიხედვით, განქორწინების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე კოდექსის 1138-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ამის შესახებ აცნობებს მეორე მეუღლეს, თუ ცნობილია მისი და სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მისამართი, რომელმაც მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია.

— შეიძლება თუ არა არასრულწლოვანმა სასჯელის მოხდის პერიოდში იმუშაოს?

— შეიძლება.

— თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 85-ე მუხლი.

